

# ჰოკრილას მადანგამოვლინების გეოლოგია და მადნიანობა

დავით მაქაძე

[Davit.makhadze233@ens.tsu.edu.ge](mailto:Davit.makhadze233@ens.tsu.edu.ge)

<sup>1</sup>გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.13

<sup>2</sup>კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, მინდელის ქ. 11

ზემო სვანეთის ტერიტორია, როგორც ოქრო-პოლიმეტალურ გამადნებაზე პერსპექტიული რეგიონი გეოლოგების ყურადღებას მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან იპყრობს. 80-იან წლებში, საკენის ინტრუზივის პერიფერიულ ნაწილში ალიბეგის რეგიონალური რღვევის გასწვრივ, აღმოჩენილი იქნა მძლავრი გაკვარცებული სერიციტიზირებული და ქლორიტიზირებული ზონა ოქროს მაღალი შემცველობებით. ზემო სვანეთის ტერიტორიაზე მსგავს გეოლოგიურ პირობებში გამოვლენილია რამოდენიმე მადანგამოვლინება, მათ შორისაა თეთნაშერას, ჰოკრილას, მემულის, ცხვანდირის უბნები. აქედან ყველაზე კარგად შესწავლილი და დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულია ჰოკრილას მადანგამოვლინება. იგი შიშვლდება მდ. ჰოკრილას მარცხენა ფერდობზე და ძირითადად განვითარებულია ტექტონიზირებულ, დანაპრალიანებულ და გრეიზენიზირებულ გრანიტ-მიგმატიტური კომპლექსის ქანებში. მადნიანი მინერალიზაციის ზონების გავრცელების ფარგლებში შიშვლდება ალიბეგის რეგიონალური რღვევა, რომელიც მადანაკონტროლებელია. რღვევის ჩრდილოეთი და სამხრეთი ბლოკები სხვადასხვა ქანებისაგანაა აგებული. რღვევის სამხრეთით შიშვლდება საკენის ინტრუზივი, რომელიც სოფიის ბლოკის შემადგენლობაში შედის, ხოლო ჩრდილოეთით გრანიტ-მიგმატიტური სერია, რომელიც თებერდის ბლოკს მიეკუთვნება. მადანშემცველი ზონა გაიდევნება დაახლოებით 2-3კმ-ზე, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე (500მ) მის ცენტრალურ ნაწილში აღინიშნება (მდ. ქვანის ჭრილი), ხოლო დასავლეთით და აღმოსავლეთით მისი სიმძლავრე მცირდება 150-200მ-დე. მადნების ტექსტურებს შორის გამოიყოფა კოკარდული, ძარღვაკულ-ჩანაწინწკლი, ზოლებრივი ტექსტურები. მადნეული მინერალებია: ოქრო, შეელიტი, ანთიმონიტი, არსენოპირიტი, სფალრიტი, გალენიტი. ჰოკრილას მადანგამოვლინებაზე მადანწარმომშობი პროცესების ოთხი სტადია გვაქვს: კვარც-შეელიტური, კვარც-პოლისულფიდური ოქროთი, კვარც-ანთიმონიტიური კვარც-ოქროიანი. მადანგამოვლინებაზე ოქროს შემცველობა ზოგიერთ უბანზე 30გ/ტ აღწევს, ხოლო საშუალო შემცველობა 6.1 გ/ტ-ს ფარგლებშია.

## ლიტერატურა

1. ბლუაშვილი დ. ჰოკრილას რაიონის პეტროლოგია და მადანგამოვლინება (ზემო სვანეთი) საკანდ. დისერტ. ავტორეფერ. თბილისი 2001.
2. კვიციანი ა, ა, გაგნიძე, მ. გომელაური, ა. ოქრო-ანთიმონიუმის გამადნება სვანეთის პალეოზოურ მიგმატიტებში. საქ. მეცნ. აკად. მოამბე 152 #4ბ. 1995.
3. კვიციანი ა. შენგელია დ. გაგნიძე მ. გომელაური ა. ჯაფარიძე გ. მელითაური გ. ზემო სვანეთის მადნიანი რაიონის ჰოკრილას ოქრო-სტიბიუმ-ვოლფრამის გამადნების პერსპექტიულობის შეფასება 1995-1996წწ. კმნი-ის ანგარიში თბილისი 1997.